საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/450
31/07/2020

450-01-2-202007311509

პლენუმი
გადაწყვეტილება

№3/1/1459,1491 **ქ. ბათუმი, 2020 წლის 30 ივლისი**

პლენუმის შემადგენლობა:
მერაბ ტურავა – სხდომის თავმჯდომარე;
ევა გოცირიძე – წევრი;
ირინე იმერლიშვილი – წევრი;
გიორგი კვერენჩხილაძე – წევრი;
ხვიჩა კიკილაშვილი – წევრი;
მანანა კობახიძე – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;
თეიმურაზ ტუღუში – წევრი;
თამაზ ცაბუტაშვილი – წევრი.

სხდომის მდივანი: დარეჯან ჩალიგავა.

საქმის დასახელება: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველო, ბათუმი,
6010, კ. გამსახურდიას ქ. №8-10,
ტელ.: (+995422) 27 00 99
ფაქსი: (+995422) 27 42 10
E-mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

Batumi, Georgia
8 – 10, K. Gamsakhurdia Str., N 6010
Tel. (+995422) 27 00 99
Fax: (+995422) 27 42 10
E – mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

დავის საგანი: ა) №1459 კონსტიტუციურ სარჩელზე: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვების: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ... თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე“, მე-2 და მე-10 წინადადებების, ამავე მუხლის მე-12 პუნქტის პირველი და მე-3 წინადადებებისა და მე-13 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით;

ბ) №1491 კონსტიტუციურ სარჩელზე: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-15 პუნქტის პირველი, მე-3 და მე-4 წინადადებების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელე მხარის, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები – თათული თოდუა, ეკა მამრიკიშვილი, მიხეილ შარაშიძე და გიორგი ბურჯანაძე; მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – ბაჩანა სურმავა, ლევან მჭედელაძე, ნინო შარმანაშვილი და რუსუდან მუმლაური; მოწმეები - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსი თორნიკე გეწაძე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის კონსულტანტი დავით აკობიძე.

I
აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 11 ნოემბერს (რეგისტრაციის №1459) და 2020 წლის 3 აპრილს (რეგისტრაციის №1491) კონსტიტუციური სარჩელებით მომართა საქართველოს სახალხო დამცველმა. №1459 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად გადმოეცა 2019 წლის 12 ნოემბერს, ხოლო №1491 კონსტიტუციური სარჩელი - 2020 წლის 6 აპრილს.

2. №1459 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის

განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2019 წლის 4 და 5 დეკემბერს, ხოლო №1491 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2020 წლის 29 აპრილს. №1459 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №3/24/1459 საოქმო ჩანაწერით, ხოლო №1491 კონსტიტუციური სარჩელი 2020 წლის 29 აპრილის №3/5/1491 საოქმო ჩანაწერით ნაწილობრივ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად. ამავე საოქმო ჩანაწერით დასახელებული ორი კონსტიტუციური სარჩელი გაერთიანდა ერთ საქმედ. №1459 და №1491 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განხილვის სხდომა გაიმართა 2020 წლის 6, 7 და 8 ივლისს.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს 2020 წლის 6 ივლისს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა ვასილ როინიშვილმა №1459 და №1491 კონსტიტუციური სარჩელების განხილვიდან თვითგანრიდების თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 6 ივლისის №3/3/1459,1491 განჩინებით.

4. №1459 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები, 34-ე მუხლი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. №1491 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

5. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლი განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესს, კერძოდ, ადგენს კანდიდატთა შერჩევის თითოეულ ეტაპზე კენჭისყრის პირობებს, შესარჩევ კანდიდატთა ოდენობას და თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში უპირატესობის მინიჭების წესს. ამასთან, განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის მიერ წარდგენილი კანდიდატის ვერარჩევის შემთხვევაში, არსებული ვაკანსიის

შესავსებად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატის ხელახლა წარდგენისს წესს.

6. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება განამტკიცებს საქართველოს მოქალაქის უფლებას, დაიკავოს საჯარო თანამდებობა, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

7. №1459 და №1491 კონსტიტუციური სარჩელების თანახმად, კანონმდებლის მიერ განსაზღვრული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის სისტემა ვერ უზრუნველყოფს შერჩევის სამართლიანი პროცედურებით განხორციელებას და იმ კანდიდატებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გაუმართლებლად უზღუდავს შესაძლებლობას, საკუთარი პროფესიული თუ სხვა პიროვნული უპირატესობების შესაბამისად იქნენ შერჩეულნი საქართველოს პარლამენტის წინაშე წარსადგენად.

8. მოსარჩელის მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანამდებობაზე განწესების არსებული მოდელი ხასიათდება როგორც პროფესიული, ასევე პოლიტიკური ელემენტებით. აღნიშნულ პროცესში, განსხვავებით საქართველოს პარლამენტისაგან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის კანდიდატის პროფესიულ შერჩევაზე პასუხისმგებელი სამართლებრივი ორგანო. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის შესახებ, მისი უფლებამოსილება შეზღუდულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი მოსამართლეობის კანდიდატებით. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის ეტაპი გულისხმობს ე.წ. „პროფესიული შერჩევის ტესტის“ გავლას, რა ეტაპზეც სრულად ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

9. მოსარჩელის განმარტებით, სადავო ნორმებით დადგენილი სისტემა შესაძლებელს ხდის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის პროცესი წარიმართოს თვითნებურად, კანდიდატთა უფლებებების დარღვევის გზით. კერძოდ, სადავო ნორმები, რომლებიც ფარულ კენჭისყრას ითვალისწინებს, არ მოითხოვს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესში შებოჭილი არ არის ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. გარდა ამისა, სადავო ნორმებით დაცული არ არის კანდიდატის უფლება, საუკეთესოობის შემთხვევაში დაიკავოს საჯარო თანამდებობა.

10. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების ფარულად მიღებას არ გააჩნია ეფექტური დამზღვევი მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც გამოირიცხება საბჭოს წევრთა მიერ ისეთი კანდიდატების შერჩევა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ კეთილსინდისიერებისა და კვალიფიციურობის კრიტერიუმებს. მეტიც, ფარული კენჭისყრის პირობებში შესაძლებელი ხდება, საუკეთესო კანდიდატები არ შეირჩნენ საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად. იმავდროულად, ფარულობა, ისევე როგორც დასაბუთების არარსებობა, გამორიცხავს საბჭოს წევრთა გადაწყვეტილების თანმიმდევრულობის შემოწმებას, ართულებს მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და მიკერძოების შემთხვევების გამოვლენის შესაძლებლობას.

11. მოსარჩელის მითითებით, მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისი პროცედურების საფუძველზე შექმნილ და დაკომპლექტებულ სასამართლოს გააჩნია კონსტიტუციურსამართლებრივი ლეგიტიმაცია. სადავო ნორმებით დადგენილი წესი, რომელიც არ გამორიცხავს შერჩევის პროცესის თვითმიზნურად და არაგონივრულად წარმართვას, ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს დაკომპლექტების კონსტიტუციურ მართლზომიერებას. ამგვარი მოწესრიგება წარმოადგენს ნებისმიერი პირის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.

12. კერძოდ, მას ართმევს შესაძლებლობას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ისარგებლოს მხოლოდ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით შერჩეული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლებით. მოსარჩელის განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა, რომ საქმე განიხილოს კანონიერად, საუკეთესო მოსამართლეებისგან დაკომპლექტებულმა სასამართლომ. სადავო ნორმები კი იძლევა შესაძლებლობას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ პირი განწესდეს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით დაკომპლექტებული სასამართლო, თავისთავად, არღვევს ნებისმიერი პირის უფლებას სამართლიან სასამართლოზე.

13. მოსარჩელის განმარტებით, სადავოდ გამხდარი ნორმებით, მათ შორის, უპირატესობა ენიჭება არა იმ კანდიდატს, რომელიც მეტად კვალიფიციური და კომპეტენტურია, არამედ იმ კანდიდატს, რომელსაც უფრო ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება აქვს. კერძოდ, შესაძლოა, კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა ფასდებოდეს უფრო მაღალი ქულით, თუმცა ხმათა თანაბარი ოდენობის მიღების პირობებში უპირატესობა მიენიჭოს კანდიდატის გამოცდილებას. ამდენად, აღნიშნული ნორმა ვერ პასუხობს

კონსტიტუციის მოთხოვნას - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები შეირჩნენ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

14. მოსარჩელე მხარე დამატებით ხაზს უსვამს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ეტაპი, რომელიც გულისხმობს კანდიდატთა თავდაპირველ გადარჩევას, ეფუძნება მხოლოდ კანდიდატთა მიერ წარდგენილ განცხადების ფორმას და თანდართულ დოკუმენტებს, რაც არ წარმოადგენს საკმარის ინფორმაციას, პირის კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების შესაფასებლად. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ეტეპზე არ ვრცელდება პირის კონკრეტული კრიტერიუმებით შეფასება. ამდენად, არასაკმარისი ინფორმაციისა და კრიტიერიუმების არარსებობის პირობებში შესაძლოა, საუკეთესო კანდიდატები საწყისსავე ეტაპზე გამოეთიშონ შერჩევის პროცედურას.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით დადგენილი ფარული კენჭისყრა და გადაწყვეტილების დასაბუთების არარსებობა, ერთიანობაში, იწვევს სამართლიანი სასამართლოსა და საქართველოს მოქალაქის სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვას.

16. მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის პოზიციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შერჩევა არ წარმოადგენს კონკურსს და აღნიშნული პროცესი განსხვავდება პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევის პროცესისაგან. მოპასუხის განმარტებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების წარდგენა და შემდგომში პარლამენტის მიერ არჩევა წარმოადგენს ერთიან პოლიტიკურ-სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამ პროცესში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შემოიფარგლება პარლამენტისათვის კანდიდატების წარდგენით, რაც არ გულისხმობს სხვა პირების (კანდიდატების) დაწუნებას, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას პირის მოსამართლედ არჩევის შესახებ იღებს საქართველოს პარლამენტი.

17. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე მიიჩნევს, რომ სადავოდ გამხდარი პროცედურა წარმოადგენს პოლიტიკურ-სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების ნაწილს, რაც გამორიცხავს მასზე საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული უფლების ფარგლების გავრცელებას. ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე პირის არჩევა არ ექცევა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების დაცულ სფეროში.

18. ამასთან, მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ კონსტიტუციის მოთხოვნას წარმოადგენს არა საუკეთესო, არამედ იმ კანდიდატის შერჩევა, რომელიც აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. იმავდროულად, მოპასუხე მხარე მიუთითებს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით შებოჭილია გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე. მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ კანონმდებლობით დადგენილი შერჩევის პროცედურა მისი ღიაობის, საჯაროობის, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობის მხედველობაში მიღებით, ნამდვილად უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განმახორციელებელი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს შესაბამისი მოსამართლეებით დაკომპლექტებას.

19. ამდენად, მოპასუხე მხარის განმარტებით, მოსამართლის თანამდებობაზე განწესების გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულია ორი კონსტიტუციური ორგანო, რომელთა წარმომადგენლებიც არჩეულნი არიან ხალხის მიერ დაკომპლექტებული ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიერ, რაც მიუთითებს აღნიშნული ორგანოების მაღალ ლეგიტიმაციაზე. შესაბამისად, იმისთვის, რომ გარანტირებული იყოს მოსამართლეთა თანამდებობაზე კეთილსინდისიერი და კომპეტენტური კანდიდატის განწესება, კონსტიტუციურმა კანონმდებელმა ამ საკითხის გადაწყვეტა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს პარლამენტს მიანდო, რაც პროცესს მატებს დემოკრატიულ ლეგიტიმურობას და თავიდან იცილებს კორპორატივიზმის საფრთხეს, მინიმუმამდე დაჰყავს მათ მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების რისკები, კორუფციის საფრთხეები.

20. მოპასუხე მხარის პოზიციით, კანდიდატთა შეფასების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დაწერილი ქულები წარმოადგენს მარტოოდენ საბჭოს მიერ გაცხადებულ დამოკიდებულებას კანდიდატების მიმართ და, შესაბამისად, კენჭისყრის პროცესში გადამწყვეტია საბჭოს წევრთა ნება, რომელიც ხმებში გამოიხატება. ამდენად, ხმათა თანაბარი ოდენობის შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი კრიტიერიუმის იდენტიფიცირება, რომელსაც უპირეტესობა მიენიჭება. აღნიშნულ შემთხვევაში კანონმდებელი ასეთად მიიჩნევს გამოცდილების ხანგრძლივობას, რომელიც დროსთან ერთად სპეციალობით მუშაობასაც მოიაზრებს.

21. მოპასუხის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადავო ნორმებით დადგენილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ხმის მიცემის ფარულობა იცავს საბჭოს წევრს გარე ფაქტორების ზეგავლენისაგან. იმავდროულად, ფარულობის მიუხედავად, სრულიად შესაძლებელია საბჭოს გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული ფაქტობრივი წინაპირობების იდენტიფიცირება. ყოველივე

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევს, რომ სადავო რეგულაციები საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად უნდა იქნეს მიჩნეული.

22. მოწმემ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ შერჩევის პირველ ეტაპზე, რომელიც გულისხმობს კანდიდატთა თავდაპირველ გადარჩევას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კენჭისყრამდე ეცნობიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს, რაც აღნიშნულ ეტაპზე საკმარისია კანდიდატის როგორც კომპეტენტურობის, ასევე კეთილსინდისიერების შესაფასებლად. თუმცა, იმავდროულად, მოწმემ არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ აღნიშნულ ეტაპზე კანდიდატების კრიტერიუმებთან შესაბამისობა ნაკლები ინტენსივობით მოწმდებოდეს.

23. მოწმის მითითებით, კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით კანდიდატები ფასდებიან სრული პროცესის განმავლობაში, შესაბამისად, კანდიდატთა შერჩევის ყველა ეტაპზე. იმავდროულად, კანონი არ გამორიცხავს კენჭისყრას ისეთი პირისთვის, რომელიც შეიძლება ვერ აკმაყოფილებდეს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, თუმცა პრაქტიკაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც არაკეთილსინდისიერად მიჩნეული პირი არჩეულიყო საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად.

24. მოწმემ აგრეთვე განმარტა კანდიდატის შეფასების ქულების მნიშვნელობა, კერძოდ, ისინი მხოლოდ ეხმარება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში, თუმცა არ ბოჭავს და გადაწყვეტილება ყოველთვის კვორუმის არსებობაზეა დამოკიდებული.

II
სამოტივაციო ნაწილი

1. №1459 და №1491 კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდ არის გამხდარი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვების: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ... თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე“, მე-2 და მე-10 წინადადებების, ამავე მუხლის მე-12 პუნქტის პირველი და მე-3 წინადადებების, მე-13 პუნქტის მე-2 წინადადების და მე-15 პუნქტის პირველი, მე-3 და მე-4 წინადადებების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე

მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. სადავო ნორმები განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესს. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ფარულად უყრის კენჭს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატებს. აღნიშნული კენჭისყრა იმართება რამდენიმე ეტაპად, კანდიდატების გამოცხადებული ვაკანსიის რაოდენობამდე დაყვანის, შერჩევისა და საბოლოოდ წარდგენის მიზნით. კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება. თუ საქართველოს პარლამენტი წარდგენილ კანდიდატს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ვერ აირჩევს, არსებული ვაკანსიის შესავსებად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კვლავ გამართავს ორეტაპიან ფარულ კენჭისყრას თავდაპირველად გამოქვეყნებულ სიაში მითითებული კანდიდატებიდან საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შესარჩევად.

2. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულ საჯარო თანამდებობის დაკავებისა და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებებს. განსახილველ შემთხვევაში დავის გადაწყვეტა მოითხოვს სადავო ნორმების შესაბამისობის დადგენას სხვადასხვა კონსტიტუციურ უფლებებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმების კონსტიტუციურობაზე კონსტიტუციის მითითებულ დებულებებთან მიმართებით ცალ-ცალკე იმსჯელებს.

1. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით

3. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულია საქართველოს მოქალაქის მიერ სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და მის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების უფლება. კონსტიტუციის ამ დანაწესის მნიშვნელობა ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ კონკრეტული ინდივიდის შრომითი უფლების დადგენა. ის ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს და გარანტიას დემოკრატიული მმართველობის

განმტკიცებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს რეალურად ჩამოყალიბების პროცესში. „დემოკრატია, უშუალო გაგებით, გულისხმობს რა ხალხის მმართველობას, შესაბამისად, ის, თავისთავად, გულისხმობს მოქალაქეთა უფლებას, მიიღონ მონაწილეობა ხელისუფლების როგორც ფორმირებაში, ისე განხორციელებაში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/3/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9).

4. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი „... სახელმწიფოს ავალდებულებს, დაადგინოს სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის გონივრული პირობები და გაუმართლებლად არ შეზღუდოს მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში, განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12). დასახელებული კონსტიტუციური დებულება, ასევე, იცავს „მოქალაქის უფლებას, ჰქონდეს თავისუფალი წვდომა სახელმწიფო სამსახურზე, ამასთან, გულისხმობს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის თანამდებობასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ გარანტიებს - არ იქნეს დაუსაბუთებლად გათავისუფლებული სამსახურიდან, იყოს დაცული ყოველგვარი გარე ჩარევისგან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/5/595 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნათია იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4).

5. საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციის 25-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით უკვე

დადგენილია, რომ მოსამართლის თანამდებობა კონსტიტუციის მიზნებისთვის განხილულ უნდა იქნეს იმ სახელმწიფო თანამდებობად, რომლის დაკავებისა და საქმიანობის განხორციელების კანონით განსაზღვრული პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მოთხოვნებს (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).

6. შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობის დაკავების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე ვრცელდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ უფლებასთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტები (მოსამართლის სახელმწიფო თანამდებობის კონსტიტუციური სტატუსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით) (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კევლიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8).

7. იმავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო თანამდებობის სტატუსს განაპირობებს შესაბამისი საქმიანობის ბუნება, მისი არსი ... ბუნებრივია, განსხვავებულია სხვადასხვა სტატუსის მქონე სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიმართ წარდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მათ საქმიანობაში ჩაურევლობის კონსტიტუციური გარანტიები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9). ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვის კონსტიტუციური სტანდარტების დადგენისას აფასებს როგორც მის (თანამდებობის) ბუნებას, ასევე ყველა სათანადო მახასიათებელს, რომელიც ამ თანამდებობის კონსტიტუციურ სტატუსს განსაზღვრავს.

8. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების წესს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით უკვე შეფასებულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები მოსამართლის თანამდებობასთან მიმართებით. ამდენად, მნიშვნელოვანია ხსენებული სტანდარტების უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობასთან მიმართებაში რელევანტურობის შეფასება. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 7

აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილებით საქმეზე - „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კევლიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ შეაფასა და დაადგინა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თანამდებობაზე განწესებისას სახელმწიფო თანამდებობის დაკავების არსებითი მოთხოვნები და გარანტიები. როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი.

9. №3/2/717 გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება მოიცავდა როგორც მოქალაქის მიერ კონკრეტული თანამდებობის დაკავების შესაძლებლობას, აგრეთვე ამ თანამდებობაზე მის დანიშვნაზე თვითნებური უარისგან დაცვას. სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნა ვრცელდებოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზეც. პროფესიულ თანამდებობაზე პირის დანიშვნისას, როდესაც გადაწყვეტილება თანამდებობაზე განწესების შესახებ არ წარმოადგენდა პოლიტიკური პროცესის შემადგენელ ნაწილს, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების არარსებობა ქმნიდა უფლებამოსილების არაჯეროვნად განხორციელების საფრთხეს. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მკაფიო და მაქსიმალურად გადამოწმებადი უნდა ყოფილიყო როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური კრიტერიუმების საფუძველზე კანდიდატის შეფასების სტანდარტებიც. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ ითხოვდა პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა განწესებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კენჭისყრის შედეგების წერილობით დასაბუთებას, კონკურსის პროცედურა მთლიანობაში იძლეოდა საბოლოო გადაწყვეტილების ფაქტობრივი წინაპირობების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. შესაბამისად, კენჭისყრის გზით მიღებული გადაწყვეტილების პირდაპირი წერილობითი დასაბუთების გარეშეც, კონკურსის მთელი პროცესის გათვალისწინებით, გასაგები ხდებოდა, თუ როგორ მივიდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

10. მაშასადამე, დასახელებული გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლედ პირის განწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მკაფიო უნდა იყოს, თუ როგორ, რა გარემოებაზე დაყრდნობით მივიდა იუსტიციის

უმაღლესი საბჭო კონკრეტული პირის მოსამართლედ განწესების შესახებ გადაწყვეტილებამდე, ისევე, როგორც ნათლად და არაორაზროვნად უნდა განისაზღვროს კანდიდატის როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ კრიტერიუმებთან შესაბამისობა.

11. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა განისაზღვროს, რამდენად რელევანტურია კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეებისათვის ნაგულისხმევი გარანტიები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისათვისაც და არის თუ არა ეს გარანტიები სრულად იდენტური ყველა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებთან მიმართებით. შესაბამისად, სახელმწიფო თანამდებობისთვის დამახასიათებელი თავისებურებების, მათ შორის, პირის თანამდებობაზე განწესების პროცედურის გათვალისწინებით, სასამართლო მართებულად მიიჩნევს, თავდაპირველად შეაფასოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის არსი, მის მიერ განსახორციელებელი ფუნქციები და ამ თანამდებობის დაკავებისათვის საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი მოთხოვნები.

1.1 საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების პროცედურა

12. როგორც არაერთხელ აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების განმარტება უნდა მოხდეს არა იზოლირებულად, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონსტიტუციით დადგენილი შესაბამისი თანამდებობის მომწესრიგებელი ნორმები. ამდენად, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში შესაფასებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დაკავების მარეგულირებელი ნორმების კონსტიტუციურობა, ამ თვალსაზრისით, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის ფარგლების განმარტება უნდა მოხდეს სისტემურად, საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან კავშირში, რათა შესაძლებელი გახდეს ძირითადი უფლებების დამდგენი და ინსტიტუციური კონსტიტუციური დებულებების საერთო სულისკვეთების აღქმა (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17).

13. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ინსტიტუციურ წესრიგში საქართველოს უზენაესი სასამართლო საერთო სასამართლოების სისტემაში უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა, რომლის შემადგენლობაში შედის არანაკლებ 28 მოსამართლე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, სახელმწიფოში მართლმსაჯულებისა და სამართლის უზენაესობის ქმედითობა არსებითადაა დამოკიდებული უზენაესი სასამართლოს თითოეული მოსამართლის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე, მათ დამოუკიდებლობაზე, მართლმსაჯულების ძირეული პრინციპებისა და სხვა დემოკრატიული ღირებულებებისადმი მათ მტკიცე ერთგულებაზე.

14. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მოსამართლე წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ სახელმწიფო თანამდებობის პირს, რომლის მიერ საკუთარი ფუნქციების მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და მაღალი პროფესიონალიზმით განხორციელებაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნებისმიერ სახელმწიფოში კანონის უზენაესობის, სამართლებრივი სახელმწიფოს და, ზოგადად, დემოკრატიის არსებობა და მათი სრულყოფილი რეალიზაცია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15). მართალია, ამ თანამდებობისთვის წაყენებული აღნიშნული მოთხოვნა თანაბრად უპირობოა ყველა მოსამართლისთვის, იმის მიუხედავად, თუ სასამართლო ხელისუფლების რომელი საფეხურიდან ახორციელებს ის მართლმსაჯულებას, თუმცა აგრეთვე ერთმნიშვნელოვანია, რომ ამ მოთხოვნების განუხრელი დაცვა, კეთილსინდისიერებისა და პროფესიონალიზმის ყველაზე უფრო მაღალი სტანდარტები სწორედ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს მოეთხოვება. აღნიშნულს თავად უზენაესი სასამართლოს ფუნქცია, მნიშვნელობა და, შესაბამისად, თითოეული მოსამართლის როლი განაპირობებს, რამდენადაც მარტოოდენ საქართველოს უზენაესი სასამართლოა პასუხისმგებელი საკუთარი პრეცედენტებით დაადგინოს ქართულ მართლმსაჯულებაში ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და, ამ გზით, განუსაზღვროს ძირითადი მიმართულებები ქვედა ინსტანციების სასამართლოებს, ჩამოაყალიბოს და დაამკვიდროს სამართლებრივი მიდგომები, პრინციპები, სტანდარტები, განმარტოს ნორმები და იკისროს უზენაესი სამართლშემფარდებლის ფუნქცია.

15. იმავდროულად, უზენაესი სასამართლოს თითოეული გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის დამკვიდრებას, სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ამასთანავე, უზენაეს სასამართლოს, როგორც საერთო სასამართლოთა სისტემაში საბოლოო ინსტანციის სასამართლოს, ისე, როგორც არც ერთ სხვას, ეკისრება განსაკუთრებული

პასუხისმგებლობა, გამორიცხოს სამართლებრივი შეცდომისა თუ მართლმსაჯულების განზრახ გამრუდების ყოველგვარი საფრთხე, რათა შეუძლებელი არ გახადოს დამდგარი შედეგების, მათ შორის, დარღვეული უფლებების აღდგენა-გამოსწორება.

16. უზენაესი სასამართლო, გარდა საკასაციო ინსტანციის ფუნქციისა, ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს, კერძოდ: განიხილავს საჩივრებს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე მოსამართლის თანამდებობაზე ვადით ან უვადოდ განწესების თაობაზე. ასევე საგულისხმოა, რომ იგი მონაწილეობს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებაში, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს პლენუმი ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს, სამართლის უზენაესობის, სამართლიანი სასამართლოსა თუ სხვა უფლებების ქმედითობის უზრუნველყოფის პროცესში უნიკალური და შეუცვლელია უზენაესი სასამართლოს თითოეული მოსამართლის როლი და პროფესიული ტვირთი.

17. სწორედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუცია ამ თანამდებობაზე ასარჩევად საერთო სასამართლოების პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა არჩევისგან განსხვავებულ, სპეციალურ წესს ადგენს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნა მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ხორციელდება. უზენაესი სასამართლოს წევრების შემთხვევაში ეს უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა (სასამართლო ხელისუფლება) და წარმომადგენლობით პოლიტიკურ ხელისუფლებას (პარლამენტი) შორის არის განაწილებული და საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ პოლიტიკური ხელისუფლება იღებს. აგრეთვე საგულისხმოა ის გარემოება, რომ კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის 48-ე მუხლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები დაექვემდებარნენ იმპიჩმენტს, რაც კონსტიტუციის ძველი რედაქციის მიხედვით, მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე ვრცელდებოდა. აღნიშნული მიუთითებს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის გზით მოსამართლეთა დისციპლინური ორგანოების მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება

კონსტიტუციით ნებადართული აღარ არის და მათი გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმპიჩმენტის წესით, პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცედურით, რომელსაც ახორციელებს პოლიტიკური ხელისუფლება - პარლამენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არა მარტო განწესებაში, არამედ თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესშიც პოლიტიკური ხელისუფლებაა ჩართული, უფრო მეტიც, თუკი განწესების უფლებამოსილებას ის ინაწილებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან ერთად, თუმცა საბოლოო სიტყვას თვითონ ამბობს, გათავისუფლება მთლიანად მის ხელშია. ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ძირითადი პასუხისმგებლობა უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებაზე, ისევე როგორც უკვე არჩეული მოსამართლეების თანამდებობაზე ყოფნაზე, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სწორედ პარლამენტს აკისრია.

18. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევის პროცედურა ორეტაპიანია, რაც გულისხმობს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შერჩევას, საქართველოს პარლამენტისათვის მათ წარდგენას, შემდგომ კი პარლამენტის მიერ, საბოლოოდ, მოსამართლეების განწესებას ამ ორგანოსთვის დადგენილი ხმის მიცემის წესით და შესაბამისი წინასწარი პროცედურის გავლით (რაც გულისხმობს კანდიდატურების საკომიტეტო განხილვებს, მათთან ინტერვიუებს). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატების საბოლოო შერჩევასა და განწესების პროცესში საბჭოსა და პარლამენტში განხორციელებული პროცედურები არ არის ერთმანეთისაგან სრულად მოწყვეტილი. მნიშვნელოვანია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის პროცედურა ერთ მთლიან მექანიზმად იქნეს აღქმული და, შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციის გააზრებისას მხედველობაში იქნეს მიღებული ამ ორგანოს მიერ მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის მიზნობრიობა.

19. როგორც უკვე აღინიშნა, უზენაესი სასამართლოს ფორმირების კონსტიტუციით დადგენილი მექანიზმის მოდელში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქცია პარლამენტისათვის მოსამართლეთა კანდიდატების წარდგენას გულისხმობს. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისკრეცია ასარჩევად სათანადო კანდიდატების წარდგენით შემოიფარგლება და საქართველოს პარლამენტს რჩება მთავარი - საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, რაც გულისხმობს იმას, რომ პარლამენტი უფლებამოსილია, სრულად ან ნაწილობრივ დაიწუნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატები და აირჩიოს მხოლოდ მისთვის სასურველი, პროცესი წარმართოს იმგვარად, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოუწიოს ხელახლა, სრულიად სხვა

კანდიდატების წარდგენა და, შესაბამისად, საკუთარი შეხედულებისამებრ მოახდინოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფორმირება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ კანდიდატების კენჭისყრა მარტოოდენ წარდგენილი კანდიდატების ფორმალურ ლეგიტიმაციას არ წარმოადგენს. კენჭისყრას წინ უძღვის თითოეული კანდიდატის ხანგრძლივი საკომიტეტო მოსმენა, რათა პარლამენტის წევრებს ჩამოუყალიბდეთ თავიანთი ინდივიდუალური დამოკიდებულება თითოეული კანდიდატის მიმართ. ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას პარლამენტის, ისევე როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, შებოჭილნი არიან კონსტიტუციის მოთხოვნით - კანდიდატი შეარჩიონ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების საფუძველზე.

20. ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესება რომ იყოს მთლიანად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში და იგი იღებდეს საბოლოო გადაწყვეტილებას, როგორც ეს ხდება პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შემთხვევაში, მაშინ მიდგომა განსხვავებული იქნებოდა და იარსებებდა მისი გადაწყვეტილების დასაბუთების გაცილებით მეტი საჭიროება.

21. საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების მოთხოვნას წარმოადგენს - უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა დააკომპლექტოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებმა - საკანონმდებლო ორგანომ. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ხელისუფლების დანაწილების, კონტროლისა და ბალანსის სისტემის არქიტექტურაში საქართველოს პარლამენტია ის კონსტიტუციური ორგანო, რომელსაც გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილება, აირჩიოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობისათვის შესაფერისი კანდიდატი, რაც გულისხმობს, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცესში შეუცვლელია პარლამენტის ნება და, ამდენად, საბოლოო გადაწყვეტილება, უდავოდ პოლიტიკურ ხელისუფლებას ეკუთვნის. საკანონმდებლო ანუ პოლიტიკური ხელისუფლების უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევის კომპეტენციით აღჭურვა *a priori* გულისხმობს პარლამენტის წევრების არჩევანის თავისუფლებას იუსტიციის საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატთა მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებენ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მოთხოვნებს, გადაწყვეტილება მიიღონ თავიანთი პოლიტიკური გემოვნების, შეხედულებების შესაბამისად ანდა მიზანშეწონილობის საფუძველზე. ცხადია, ასეთი გადაწყვეტილება არ ექვემდებარება დასაბუთებას.

22. ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლით დადგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესი, მიუხედავად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგინების ეტაპის

არსებობისა, არჩევითი თანამდებობის ელემენტებით ხასიათდება. რა თქმა უნდა, აღნიშნული არ გამორიცხავს პროცესის მომწესრიგებელ ნორმათა კონსტიტუციურობის კონტროლს, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის კონტექსტში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლით დაცული ის უფლებრივი გარანტიები, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი აქვს პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევის პროცედურისთვის, ვერ იქნება სრულად რელევანტური და, მით უფრო, იდენტური, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან მიმართებაში. როგორც აღინიშნა, განსხვავებულია როგორც დასაკავებელი თანამდებობის ფუნქციის არსი, ასევე, სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა საფეხურზე მოსამართლის განწესებაზე უფლებამოსილი კონსტიტუციური ორგანოები და ამ ორგანოთა როლი.

23. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო, სადავო ნორმათა კონსტიტუციურობის შეფასებისას და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობასთან მიმართებაში, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით განსაზღვრული გარანტიების განმარტებისას მხედველობაში მიიღებს ზემოაღნიშნულ განსხვავებებს, იუსტიციის საბჭოს შეზღუდულ როლს და საკითხის საბოლოო გადაწყვეტის ხელისუფლების პოლიტიკური განშტოების - პარლამენტისთვის დაქვემდებარებას, კონსტიტუციით დადგენილ იმ სახელისუფლებო არქიტექტურას, რომელშიც სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ინსტანციის ფორმირების უფლებამოსილება საკანონმდებლო ხელისუფლებას ენიჭება.

1.2 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის როლი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განწესების პროცესში

24. როგორც აღინიშნა, წინამდებარე საქმის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულ უფლებას, ერთი მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა წარდგენის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთების არარსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, კენჭისყრის ფარულობა. კერძოდ, უნდა გაირკვეს, რამდენად ქმნის აღნიშნული ფაქტორები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში ისეთი კრიტერიუმების უგულებელყოფის შესაძლებლობას, როგორებიცაა კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა.

მოსარჩელის არგუმენტაცია მიემართება, ზოგადად, პროცესის სანდოობას და იმას, თუ რამდენად იცავს არსებული მოდელი საქართველოს მოქალაქეთა უფლებას, დაიკავონ საჯარო თანამდებობა.

25. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, გააჩნია თუ არა საფუძველი მოსარჩელის ეჭვებს, რომლებიც შეეხება, ზოგადად, პროცესის სანდოობას იუსტიციის საბჭოს ეტაპზე და დაადგინოს, არღვევს თუ არა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების არსებული მოდელი საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებას კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების გაგებით.

26. აღნიშნული მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლო, პირველ რიგში, შეაფასებს, თუ როგორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განწესების კონსტიტუციური ფუნქციის განხორციელებისას თავად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის განსაზღვრული სტატუსი და დანიშნულება. აგრეთვე, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, რა გავლენას ახდენს მათი მონაწილეობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცესში მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემაზე.

ა) <u>იუსტიციის უმაღლესი საბჭო</u>

27. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს კონსტიტუციურ ორგანოს, რომელიც საკუთარ კონსტიტუციურ უფლებამოსილებას ახორციელებს დამოუკიდებლად. საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. კონსტიტუციის ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესს, რომლის თანახმადაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედის 4 წლის ვადით განწესებული 14 წევრი (მათ შორის არიან როგორც მოსამართლე, ასევე არამოსამართლე წევრები) და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში, გარდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, შედიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი და პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის არანაკლებ

სამი მეხუთედის უმრავლესობით არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთაგან ორგანული კანონით დადგენილი წესით 4 წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს მისი, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადისა, ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტი და საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს ირჩევენ კონკურსის საფუძველზე. კანდიდატები შეირჩევიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებისა და მკვლევრებისგან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისგან ან/და საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებისგან. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მაღალი რეპუტაცია და რომელიც სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია.

28. კანონმდებლობით დადგენილია სათანადო საკვალიფიკაციო სტანდარტები, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს დაკომპლექტებას, ერთი მხრივ, შესაბამისი კომპეტენციისა და რეპუტაციის მქონე არამოსამართლე წევრებით, რომელთა დამოუკიდებლობაც გარანტირებულია ისეთი საკანონმდებლო მოთხოვნებით, როგორიცაა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა და დამატებითი საქმიანობის აკრძალვა, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. გარდა ამისა, ის გარემოება, რომ საბჭოს წევრები აირჩევიან შეზღუდული დროით და იცვლებიან ყოველ 4 წელიწადში ერთხელ (ზედიზედ მეორედ არჩევის აკრძალვით), ასევე მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და უფლებამოსილების კონტროლის თვალსაზრისით. ყოველივე ზემოაღნიშნული აზღვევს საბჭოს არამოსამართლე წევრთა მხრიდან მათი უფლებამოსილებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად განხორციელებას.

29. საბჭოს წევრთა უმრავლესობას წარმოადგენენ მოსამართლეები, რომლებიც არჩეული არიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებისაგან შემდგარი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს - მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ფარული კენჭისყრით. შესაბამისად, საბჭოს მოსამართლე წევრები, თავის მხრივ, აკმაყოფილებენ პროფესიული კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების საკანონმდებლო მოთხოვნებს და რაც ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, სარგებლობენ

მოსამართლეთა მთელი კორპუსის მაღალი ნდობით. მოსამართლე წევრები, ასევე აკმაყოფილებენ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მოთხოვნას არა მხოლოდ როგორც საბჭოს წევრის, არამედ, უპირველესად, მათი, როგორც მოსამართლის თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე. საბჭოს მოსამართლე წევრთა უფლებამოსილება ასევე შეზღუდულია 4 წლის ვადით. აღნიშნული გარემოებები უზრუნველყოფს საბჭოს მოსამართლე წევრების დამოუკიდებლობასა და მათი მხრიდან უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებას.

30. ამგვარად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც კონსტიტუციური ორგანო დაკომპლექტებულია ხელისუფლების სხვადასხვა შტოებისგან არჩეული წევრებით, რომელთა ნაწილი პარლამენტისა და პრეზიდენტის ნდობითაა აღჭურვილი და ნაწილი - საკუთრივ მოსამართლეთა კორპუსის ნდობით. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს უმთავრესი დანიშნულება და ფუნქცია სწორედ მოსამართლეთა შერჩევაა, რასაც თავად კონსტიტუცია ადგენს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის ნდობა, რომელიც არამოსამართლე წევრებს გამოუცხადა პრეზიდენტმა, პარლამენტმა და მოსამართლე წევრებს - მოსამართლეთა კორპუსმა, უწინარესად, მოსამართლეთა შერჩევის სფეროში საბჭოსადმი ინსტიტუციურ ნდობას მოიცავს.

31. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე. გარდა ამისა, კანონმდებლობის შესაბამისად, საბჭო სარგებლობს ფინანსური დამოუკიდებლობით. ანგარიშვალდებულების წესის ამგვარად ჩამოყალიბება კი წარმოადგენს დამატებით გარანტიას, რომელიც ემსახურება საბჭოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფასა და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან მის დამოუკიდებლობას.

32. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, რაც უშუალოდ კონსტიტუციითაა განსაზღვრული. კერძოდ, გადაწყვეტილებას, მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევისას, საბჭო იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით, რაც გამორიცხავს მარტოოდენ საბჭოს მოსამართლე ან არამოსამართლე წევრების მხრიდან გადაწყვეტილების მიღებას და მოითხოვს სხვადასხვა სუბიექტის მიერ არჩეული წევრების მხრიდან ფართო კონსენსუსს. ამგვარად, თვითნებობის ყოველგვარი რისკი მოსამართლეთა შერჩევის პროცესში უფლებამოსილების განხორციელებისას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სათანადოდ არის დაზღვეული მაღალი კვორუმის აუცილებლობითაც.

33. იუსტიციის საბჭოს ფორმირების არსებული კონსტიტუციური მოდელი, მისი შემადგენლობა, გადაწყვეტილების მიღების წესი, ასევე უზრუნველყოფს

იმას, რომ საბჭო არ გადაიქცეს დახურულ, ვიწროდ კორპორატიულ ინტერესებზე ორიენტირებულ სტრუქტურად.

34. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილ პოლიტიკურად ნეიტრალურ ორგანოს, რომელიც სარგებლობს დამოუკიდებლობის მაღალი კონსტიტუციური გარანტიებით და შესწევს უნარი, კანდიდატთა შერჩევის პროცესში იხელმძღვანელოს მარტოოდენ კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად და სრულფასოვნად შეასრულოს კონსტიტუციითვე განსაზღვრული მისი მთავარი ფუნქცია.

<u>ბ) საქართველოს პარლამენტი</u>

35. მეორე კონსტიტუციური ორგანო, რომელიც მონაწილეობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განწესებაში, არის საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. თავის მხრივ, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უშუალოდ ხალხის მანდატითა და მის მიერვე გადანდობილი ძალაუფლების ფარგლებში ახორციელებს საკუთარ უფლებამოსილებას. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ინსტანციის ფორმირება ქმნის დემოკრატიისთვის დამახასიათებელ სახალხო ლეგიტიმაციის საფუძველს.

36. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია განისაზღვრება არა სამართლებრივი დასაბუთებით, არამედ პარლამენტის წევრთა ხმების რაოდენობით (იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-124). ამდენად, ამა თუ იმ პირის მოსამართლედ განწესების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებად ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - საქართველოს პარლამენტის განსაზღვრა, ამ ორგანოსადმი არსებული საზოგადოების ნდობის გათვალისწინებით (რომელიც

ხალხის მიერ არჩევნებზე დაფიქსირებულ ხმებში და, ამ გზით, ხალხის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მათთვის მინიჭებაში ვლინდება), უმაღლეს ლეგიტიმაციას სძენს თანამდებობაზე განწესებულ პირებს.

37. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და განწესების პროცესში ორი კონსტიტუციური ორგანოს მონაწილეობა, მათი ფუნქციები, დანიშნულება, სტატუსი, ერთობლიობაში, უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებას კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად - სათანადო კომპეტენციის, კეთილსინდისიერი მოსამართლეებით.

1.3 კანდიდატთა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობისა და ფარულობის საკითხი

38. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოპასუხის პოზიციას, რომ შესაძლოა, არსებობდეს მოსამართლეთა შერჩევის განსხვავებული მოდელები, რომლის ფარგლებშიც მოსამართლეობის მსურველთა უფლება, დაიკავონ აღნიშნული სახელმწიფო თანამდებობა, მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული საკითხის კონსტიტუციურ მოწყობასა და იმაზე, თუ რომელი კონსტიტუციური ორგანოები არიან ჩართული ამ გადაწყვეტილებათა მიღებაში და, კერძოდ, რა როლი აკისრიათ მათ.

39. როგორც აღინიშნა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის პროცესი ერთდროულად მოიაზრებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკურად ნეიტრალური და საქართველოს პარლამენტის პოლიტიკურად არანეიტრალური გადაწყვეტილებების მიღებას. თუმცა ამგვარი კონსტიტუციური წესრიგი არ გულისხმობს სრულ „კარტ-ბლანშს“ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისთვის და მიხედულების სრულ თავისუფლებას იუსტიციის საბჭოსა თუ პარლამენტის წევრებისთვის. მეტიც, ერთი მხრივ, კონსტიტუციის 61-ე, 63-ე და 64-ე მუხლებით განსაზღვრული დებულებები და, მეორე მხრივ, კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებული საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევაზე უფლებამოსილ ორგანოებს უდგენს სავალდებულოდ გასათვალისწინებელ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

40. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს იმ მინიმალურ ცენზებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს საერთო სასამართლოს მოსამართლე, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. კერძოდ, საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. ამ ფორმალურ

კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ფასდება, აკმაყოფილებს თუ არა მოსამართლეობის მსურველი კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების იმ მოთხოვნებს, რასაც მოსამართლის მაღალი სტატუსი მოითხოვს. ამასთან, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი საქართველოს ყოველ მოქალაქეს აღჭურავს უფლებით, დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, ხოლო ამ თანამდებობათა რაოდენობა შეზღუდულია, ამიტომ, ბუნებრივია, რომ თანამდებობას საბოლოოდ იკავებს ის კანდიდატი/კანდიდატები, რომელიც უფრო მეტად აკმაყოფილებს ამ თანამდებობისათვის არსებულ მოთხოვნებს.

41. როგორც აღინიშნა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისათვის (როგორც საერთო სასამართლოს მოსამართლისთვის) წაყენებული მოთხოვნები, ერთი მხრივ, ფორმალურ ცენზებს მოიაზრებს, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთ შეფასებად კრიტერიუმებს, როგორებიცაა კვალიფიკაცია და კეთილსინდისიერება. სადავო ნორმის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის თითოეულ ეტაპზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ფარული კენჭისყრით, იღებს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, იმას, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა და ფარულობა არ შეესაბამება საჯარო თანამდებობის დაკავების კონსტიტუციური უფლების მოთხოვნებს.

42. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლი განსაზღვრავს, თუ როგორ და რა პროცედურებით შეარჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს. ხსენებული შერჩევის პროცედურა რამდენიმე კომპლექსურ ეტაპს მოიაზრებს, რამაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების მრავალმხრივი შესწავლის შედეგად სწორი გადაწყვეტილების მიღება.

43. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის დაწყებიდან 3 კვირის განმავლობაში პროცედურაში მონაწილეობის მსურველი პირები წარადგენენ განცხადებასა და დოკუმენტებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას პირის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ, თუ იგი დააკმაყოფილებს მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მას სრულყოფილად ექნება წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები. რეგისტრაციის პროცედურის დასრულებისთანავე, საქართველოს

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვებგვერდზე გამოაქვეყნებს განმცხადებელთა სიას, ავტობიოგრაფიებს და ინფორმაციას კანდიდატად მათი რეგისტრაციის შესახებ. შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირს უფლება აქვს, განმცხადებელთა რეგისტრაციის თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში.

44. კანდიდატების შერჩევის მომდევნო პროცედურა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის მიზნით, ფარული კენჭისყრის ჩატარებაა. ამ ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატის კვალიფიკაციის შეფასებას ახდენენ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. შერჩევის პროცედურაში მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა, წარადგინონ მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საბჭოს თითოეული წევრი ბიულეტენში ფარულად შემოხაზავს არა უმეტეს იმ რაოდენობის კანდიდატს, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული. აღნიშნულ ეტაპზე შეირჩევა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 3-ჯერ ან 2,5-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. თუ კანდიდატთა რაოდენობა შემდგომ ეტაპზე გადასაყვანთა კვოტაზე ნაკლები ან მისი ტოლი იქნება, ეს კანდიდატები შერჩევის შემდგომ ეტაპზე კენჭისყრის გარეშე გადავლენ.

45. კანდიდატის შეფასების შემდგომ მნიშვნელოვან ეტაპს წინ უძღვის საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ წინასწარ მოძიებული ინფორმაციის გაცნობა და კანდიდატების ინდივიდუალური წარდგენა ინტერვიუზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ, კითხვები დაუსვან თითოეულ კანდიდატს. მოსმენის დასრულების შემდეგ, საბჭოს წევრები აფასებენ კანდიდატებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია, ფინანსური ვალდებულება, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია: სამართლის ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერის უნარი, ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა. თითოეული კანდიდატის შეფასება საჯაროდ ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

46. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ ფარულად უყრის კენჭს კანდიდატებს, გამოცხადებული

ვაკანსიის რაოდენობამდე მათი დაყვანის მიზნით. შემდგომ ეტაპზე გადადის საუკეთესო შედეგის მქონე იმ რაოდენობის კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული. შემდგომ სათითაოდ ეყრება კენჭი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას. კანდიდატი წარდგენილად ჩაითვლება, თუ მას საბჭოს ღია სხდომაზე, ფარული კენჭისყრით, მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილი პირის თაობაზე განსხვავებული აზრი წერილობით წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული განსხვავებული აზრი და კანდიდატისთვის მინიჭებული ქულის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა თითოეულ პარლამენტის წევრს.

47. ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შერჩევის პროცესის ყოველ ეტაპზე უყრის კენჭს კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად. თითოეულ კენჭისყრას წინ უძღვის კანდიდატების შესახებ სათანადო ინფორმაციის შეგროვება, მათი გადამოწმება, შესწავლა, კანდიდატების მოსმენა ან/და ინდივიდუალურად შეფასება, რისი შედეგებიც საჯარო და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. ამდენად, შერჩევის რამდენიმე ეტაპის არსებობა და ყველა ეტაპზე კანდიდატების კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის გამოკვლევისა და ინდივიდუალურად შეფასების შესაძლებლობა, საბოლოოდ, განაპირობებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის კანდიდატთა წარდგენის შესახებ სათანადო გადაწყვეტილების მიღებას.

48. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის კოლეგიური ორგანო, რომელიც ხმათა 2/3-ს უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, თუმცა ცალკე აღებული საბჭოს თითოეული წევრის მიერ კონკრეტული კანდიდატისთვის მხარდაჭერა თუ უარი, არის საბჭოს წევრის ინდივიდუალური პოზიცია და არა მთლიანად საბჭოს გადაწყვეტილება კანდიდატის წარდგენასა თუ მასზე უარის შესახებ. შესაბამისად, საბჭოს, როგორც კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილება, შესაძლოა ვერ დასაბუთდეს. ის, რაც შეიძლება დასაბუთდეს, ეს არის საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატისთვის მხარის დაჭერა ან არდაჭერა, თუმცა გადაწყვეტილება, რის დაუსაბუთებლობასაც სადავოდ ხდის მოსარჩელე, არის ის, რაც მიიღება ხმათა 2/3-ით. აღნიშნული კი, უშუალოდ, კონსტიტუციითაა განსაზღვრული.

49. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოა კომპეტენტური, განსაზღვროს მოსამართლის

თანამდებობაზე გასამწესებელი სათანადო კანდიდატები და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც, ამ ორგანოს დაკომპლექტების წესისა და საქმიანობის განხორციელებისას არსებული საკანონმდებლო გარანტიებიდან გამომდინარე, თავისთავად ლეგიტიმურია. ამდენად, მოდელი, სადაც საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბჭოს წევრების მიერ ხმის მიცემით განისაზღვრება და არ საჭიროებს დამატებით წერილობით დასაბუთებას, კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს მიღებული გადაწყვეტილების ხარისხსა და სანდოობას. შესაბამისად. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისას გადაწყვეტილების მიღება წერილობითი დასაბუთების გარეშე არ არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულ უფლებას.

50. იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის საკითხისგან დამოუკიდებლად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობას ასევე განაპირობებს გადაწყვეტილების მიღების ფარულობის წესი.

51. ზოგადად, ფარული კენჭისყრა ემსახურება ისეთ მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს, როგორიცაა გადაწყვეტილების მიმღები პირის/ორგანოს დაცვა გარეგანი ჩარევებისა და ზემოქმედებისაგან, მესამე პირების კონტროლისა თუ ზეწოლისგან. ფარული კენჭისყრა ქმნის გარანტიას, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს დამოუკიდებლად, ნების აბსოლუტურად თავისუფლად გამოვლენის საფუძველზე და მნიშვნელოვნად აზღვევს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მათ წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებებისგან. შესაბამისად, კენჭისყრის ფარულობა, ძირითადად, ემსახურება ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღები პირის დაცულობას.

52. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს კონსტიტუცია იცნობს გადაწყვეტილების როგორც ფარული, ასევე ღია კენჭისყრით მიღების წესს. მაგალითისათვის, საარჩევნო კოლეგია ღია კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პრეზიდენტს, ხოლო საქართველოს პარლამენტი ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს. ამასთანავე, ღიაა პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრა, გარდა კონსტიტუციით ან კანონით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა. შესაბამისად, კონკრეტული მიზნობრიობის გათვალისწინებით, სხვადასხვა პროცედურასთან მიმართებით, შესაძლოა გამართლებული იყოს ფარული ან ღია კენჭისყრა.

53. ამდენად, ის გარემოება, თუ რამდენად წარმოადგენს კენჭისყრის ღიაობა უფლების შემადგენელ ნაწილს, უნდა შემოწმდეს ყოველ კონკრეტულ ვითარებაში, ვინაიდან შესაძლოა, გამოვლინდეს ცალკეული შემთხვევები, როდესაც იარსებებს

ფარულობის საპირწონე მნიშვნელოვანი ინტერესი გადაწყვეტილების ღია კენჭისყრით მიღების სასარგებლოდ.

54. საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა შერჩევის საკითხზე გადაწყვეტილების ფარულად მიღება აღნიშნული ორგანოს მიერ საკუთარი ფუნქციების სათანადოდ შესრულების დამატებით გარანტიას ქმნის, რამდენადაც, მიუხედავად ორგანოს განსაკუთრებული სტატუსისა, ყოველთვის არსებობს რისკები, ცალკეულმა ჯგუფებმა თუ პირებმა მოინდომონ საბჭოს წევრზე ზეგავლენის მოხდენა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საბჭოს მოსამართლე წევრებს ხშირად გადაწყვეტილებების მიღება უწევთ თავიანთი კოლეგების მიმართაც და ასეთ შემთხვევებშიც, კენჭისყრის ფარულობა გაცილებით მეტად უზრუნველყოფს მათი ნების თავისუფალ გამოვლენას. ამდენად, საბჭოს მიერ მოსამართლეთა, მათ შორის პარლამენტისთვის წარსადგენი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისას, გადაწყვეტილების მიღება ფარული კენჭისყრით უზრუნველყოფს ამგვარი რისკებისგან დაზღვევას და ქმნის გადაწყვეტილების თავისუფალ გარემოში მიღების მეტ გარანტიას.

55. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარემ ვერ წარმოაჩინა სათანადო არგუმენტაცია, რატომ სჯობს ღიაობა ფარულობას და, კიდევაც რომ სჯობდეს, რატომ არის ის არაკონსტიტუციური. შესაბამისად, სადავო ნორმები, რომლითაც განისაზღვრება იუსტიციის საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში გადაწყვეტილების მიღება ფარული კენჭისყრით, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულ უფლებას.

56. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განწესების პროცესში. კერძოდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა გერმანიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც მოსამართლეთა არჩევისთვის უფლებამოსილმა ორგანომ არ განამწესა და შემდგომ ეს გადაწყვეტილება დაუსაბუთებლობის გამო გაასაჩივრა (იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე სენატის 2016 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, 2 BvR 2453/15). მოსამართლეთა ამრჩევი ორგანო (Richterwahlausschuss) იღებს გადაწყვეტილებას ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განწესების შესახებ ფარული კენჭისყრით (იხ. გერმანიის მოსამართლეთა არჩევის შესახებ კანონის მე-12 პარაგრაფის პირველი აბზაცი, Richterwahlgesetz §12 I). ფედერალური სასამართლოების მოსამართლეთა არჩევა, როგორც წესი, არ ექვემდებარება სასამართლო კონტროლს, განსხვავებით

მიწების სასამართლოთა მოსამართლეებისა და მოხელეების დანიშვნის პროცედურისა. მოსამართლეთა ამრჩევმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს კანდიდატთა კვალიფიკაცია და გამოცდილება, თუმცა მის მიერ საბოლოოდ გაკეთებული არჩევანი კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ არ ექვემდებარება დასაბუთებას. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეში მიიჩნია, რომ მოსამართლეთა ამრჩევი ორგანო არ იყო ვალდებული, დაესაბუთებინა, თუ რატომ განაწესა გერმანიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე სხვა კანდიდატი და არა მოსარჩელე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსამართლეთა განწესების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ გამომდინარეობს არც ეფექტური სამართლებრივი დაცვის პრინციპიდან გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 აბზაცის პირველი წინადადების შესაბამისად (იხ. გადაწყვეტილების 33-ე პარაგრაფი). იქიდან გამომდინარე, რომ მოსამართლეთა არჩევის პროცესი (კენჭისყრა) ფარულია და ის არ საჭიროებს დასაბუთებას, ძალიან შეზღუდულია ამ გადაწყვეტილების შემდგომი სასამართლო კონტროლი, ის შეიძლება შეეხოს არჩევის პროცედურულ ფორმალურ ხარვეზებს, თუ ასეთი ხარვეზი სახეზეა (გადაწყვეტილების მე-8 პარაგრაფი).

1.4 მეტი გამოცდილების მქონე პირის უპირატესობის კონსტიტუციურობის საკითხი

57. სადავო ნორმები, მათ შორის, ითვალისწინებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის ეტაპზე მეტი სამუშაო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის უპირატესობის მინიჭებას. კერძოდ, კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ ხმათა თანაბარი ოდენობის შემთხვევაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არა გამოცდილებას, არამედ ქულებს, რომლებიც ეფუძნება კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

58. არსებითი განხილვის ეტაპზე მოწმემ, ისევე როგორც მოპასუხის წარმომადგენელმა, აღნიშნეს, რომ ქულები, რომლითაც ფასდება კანდიდატის კომპეტენტურობა სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, საბჭოს წევრებისათვის, უდავოდ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კანდიდატის პროფესიული თვისებების

შეფასების აღსანიშნავად, მაგრამ ეს ქულები არ არის მათთვის პირდაპირ და უპირობოდ მბოჭავი გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში. ამასთან, კანდიდატების მიერ მიღებული ქულათა რაოდენობა ყოველთვის ადეკვატურად არ ასახავს საბჭოს წევრთა მხრიდან მისი მხარდაჭერის პერსპექტივას, რამდენადაც მიღებულ ქულათა ჯამი წარმოადგენს საბჭოს ყველა წევრის მიერ განხორციელებულ შეფასებათა ჯამს, მაშინ, როდესაც გამარჯვებულის გამოვლენა ხდება არა ამ ქულების საფუძველზე, არამედ მიღებული ხმების რაოდენობის შესაბამისად. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კენჭისყრის დროს დაფიქსირებული ხმები გამოხატავს საბჭოს წევრთა დამოკიდებულებას და კანდიდატთა ობიექტურ შეფასებას. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულის გათვალისწინებით შეაფასებს მეტი გამოცდილების მქონე პირისათვის უპირატესობის მინიჭების საკითხს.

59. როგორც უკვე აღინიშნა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი სწავლობს კანდიდატთა შესახებ დეტალურ ინფორმაციას, რომელსაც საბჭო მოიპოვებს როგორც თავად კანდიდატისგან, ასევე დამოუკიდებელი წყაროებისგან. ამდენად, საბჭოს წევრები აფასებენ საკანონმდებლო მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის საკითხს გასაუბრებამდე და შემდგომ უკვე გასაუბრების ფარგლებში იკვლევენ მის პროფესიულ მიღწევებს, უნარ-ჩვევებს, საქმიან და მორალურ რეპუტაციას, პიროვნულ თვისებებს, ყოველ იმ ფაქტსა თუ გარემოებას, რომელიც საბჭოს წევრს ჩამოუყალიბებს შეხედულებას კანდიდატის კომპეტენციასა და კეთილსინდისიერებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, თითოეული წევრი მხარს უჭერს იმ კანდიდატს, რომლის სამოსამართლო მოვალეობებისადმი შესაბამისობაშიც უფრო მეტადაა დარწმუნებული. ამასთან, თეორიულად, არ გამოირიცხება შესაძლებლობა, კანდიდატებმა დააგროვონ თანაბარი ხმების ოდენობა და შეუძლებელი გახდეს მიღებული ხმების მიხედვით გაირკვეს შემდგომ ეტაპზე გადასული კანდიდატის ვინაობა. ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება იმგვარი მოწესრიგება, რომელიც დააკმაყოფილებს ობიექტურობის ტესტს და, იმავდროულად, ხელს შეუწყობს საუკეთესო კანდიდატის გამორჩევას, უპირატესობის მიუკერძოებლად მინიჭებას.

60. კანონმდებელმა კანდიდატებს შორის, რომლებიც აკმაყოფილებენ კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს, უკეთესის შერჩევა დაუკავშირა ისეთ ობიექტურ კრიტერიუმს, როგორიცაა სამუშაო გამოცდილება, რაც, თავის მხრივ, არ ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით გადაწყვეტილების მიღების წესს, რადგან პროფესიული გამოცდილების ხანგრძლივობა, როგორც ცალკე აღებული ფაქტორი, მნიშვნელოვნად განაპირობებს პროფესიონალიზმის მაღალ ხარისხს და ისეთი ცოდნისა თუ გამოცდილების შეძენას, რომლის მიღებაც მხოლოდ

თეორიული მომზადებით და ხანმოკლე პრაქტიკით შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ პროფესიული საქმიანობის ხანგრძლივობის აუცილებელ მინიმუმს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებისთვის ითვალისწინებს თავად კონსტიტუცია. კერძოდ, 63-ე მუხლის მე-3 პუნქტი მოსამართლედ განწესებისთვის ადგენს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილების პირობას.

61. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირის სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება მისი კვალიფიკაციის ხარისხობრივი მსაზღვრელი და ობიექტური კრიტერიუმია. შესაბამისად, აღნიშნული კრიტერიუმით ხელმძღვანელობა და ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტილების ამ კრიტერიუმზე დაფუძნება გამოცდილი და დასაბუთებული მეთოდია. განსაკუთრებით მართლმსაჯულების სისტემის ისეთი მოდელების დროს, რომლებიც კარიერის პრინციპს ეფუძნება და, ჩვეულებრივ, მით მეტი შანსი აქვს მოქმედ მოსამართლეს ზედა ინსტანციის სასამართლოში დაწინაურდეს, რაც უფრო მეტი სამოსამართლო გამოცდილებაც გააჩნია მას. თუმცა შესაძლოა, პროფესიული გამოცდილების ხანგრძლივობა ყოველთვის არ იყოს ერთადერთი გადამწყვეტი გარემოება. ამდენად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობის მინიჭება უფრო ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილების მქონე პირისათვის არ წარმოადგენს არასათანადო ან/და ისეთ კრიტერიუმს, რომელიც ეწინააღმდეგება კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს, ან მათზე უარის თქმას გულისხმობს, ანდა საბჭოს წევრთა მხრიდან რაიმე თვითნებობის შესაძლებლობას ქმნის.

62. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვები: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ... თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე“, მე-2 და მე-10 წინადადებები, ამავე მუხლის მე-12 პუნქტის პირველი და მე-3 წინადადებები და მე-13 პუნქტის მე-2 წინადადება, მე-15 პუნქტის პირველი, მე-3 და მე-4 წინადადებები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებას.

2. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

63. როგორც აღინიშნა, მოსარჩელე მხარე სადავო ნორმებს ასევე არაკონსტიტუციურად მიიჩნევს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის

პირველ პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელე მხარის განმარტებით, ვინაიდან სადავო ნორმები ვერ უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებას საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, იქმნება შესაძლებლობა, მათ საფუძველზე, მოსამართლედ დაინიშნოს ისეთი პირი, რომელიც არ აკმაყოფილებს კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების თაობაზე კონსტიტუციის მოთხოვნას, რაც, თავის მხრივ, არღვევს ნებისმიერი პირის უფლებას, საკუთარი უფლებები და თავისუფლებები დაიცვას კონსტიტუციის შესაბამისად ფორმირებული სასამართლოსადმი მიმართვის გზით.

64. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“. აღნიშნულ ნორმას დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. ის ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. მის ასეთ ღირებულებაზე არაერთხელ მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლომ. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშვნით, „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 1). სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლება ... უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების ეფექტურ რეალიზაციას და უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან დაცვას” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/403,427 საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 1).

65. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლება უპირობოდ არის შებოჭილი ვალდებულებით, უზრუნველყოს როგორც დამოუკიდებელი, ისე კვალიფიციური და კომპეტენტური სასამართლო, თუმცა ამ პროცესში ფართოა მისი მიხედულების ფარგლები, რა სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით, როგორი სისტემის

ფარგლებში მიაღწევს ამ მიზანს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-93). ამასთან, „სამართლიანი მართლმსაჯულება მოითხოვს არა მხოლოდ ყველა საჭირო, საკმარისი და ადეკვატური პროცედურითა თუ გარანტიით სასამართლოს აღჭურვას, არამედ, იმავდროულად, გულისხმობს მის ასეთად აღქმადობას საზოგადოების და დავის მონაწილეთა მხრიდან. სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას, ცხადია, პირველ რიგში, განაპირობებს და უზრუნველყოფს სასამართლოს (მოსამართლეთა) ინსტიტუციური და პერსონალური დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ამასთან, გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის დამაჯერებელი ხარისხი. ამ თვალსაზრისით, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ინსტიტუტისადმი მხარეთა და, ზოგადად, საზოგადოების ნდობას, რომელიც ზემოაღნიშნულის გარდა სხვა ფაქტორებზე დამოკიდებულებითაც იქმნება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-101).

66. უდავოა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება სათანადო ღირსების, კვალიფიკაციის, კონსტიტუციურ ღირებულებათა და ადამიანის უფლებებისადმი ერთგული მოსამართლეების გარეშე, მარტოოდენ, ფიქციად იქცევა. საზოგადოებას ვერ ექნება სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობა, თუ თავად მოსამართლეებს არ შესწევთ უნარი, სათანადოდ აღასრულონ და ემსახურონ მართლმსაჯულებას. ამდენად, სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ერთადერთი უპირობო საშუალება მისი სათანადო მოსამართლეებით დაკომპლექტებაა. აღნიშნული, თავისთავად, გულისხმობს სასამართლოს იმ კანდიდატებით დაკომპლექტებას, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ მოსამართლისათვის წაყენებულ კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

67. წინამდებარე გადაწყვეტილებაში სასამართლომ იმსჯელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფორმირების წესზე (იხ. სამოტივაციო ნაწილის მე-12-23-ე პარაგრაფები) და შეაფასა სადავო ნორმათა კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა რა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციაზე, კონსტიტუციურ სტატუსსა და გარანტიებზე(იხ. სამოტივაციო ნაწილის 27-ე-34-ე პარაგრაფები) დაადგინა, რომ მოქმედ კონსტიტუციურ სამართლებრივ წესრიგში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად, კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების

ნიშნით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევას. სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო ვერც მოსარჩელის იმ პოზიციას გაიზიარებს, თითქოს საქმის სამართლიანი განხილვის უფლება ირღვევა ყველა იმ პირის მიმართ, ვის საქმესაც სადავო ნორმების საფუძველზე შერჩეული უზენაესი სასამართლოს მოსამართლე განიხილავს.

68. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვები: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ... თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე“, მე-2 და მე-10 წინადადებები, ამავე მუხლის მე-12 პუნქტის პირველი და მე-3 წინადადებები და მე-13 პუნქტის მე-2 წინადადება, მე-15 პუნქტის პირველი, მე-3 და მე-4 წინადადებები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტს.

III
სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-11 პუნქტების, 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი, 1^1, 1^2, 1^3, 1^4, 1^5, მე-2, მე-4, მე-7, მე-8, 8^1, 8^2, მე-11, 12^1, მე-13, მე-14, მე-15 და მე-16 პუნქტების, 44-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
ა დ გ ე ნ ს:

1. არ დაკმაყოფილდეს №1459 და №1491 კონსტიტუციური სარჩელები („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

2. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

4. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

5. გადაწყვეტილებას დაერთოს მოსამართლეების თეიმურაზ ტუღუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი.

6. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

პლენუმის შემადგენლობა:

მერაბ ტურავა

ევა გოცირიძე

ირინე იმერლიშვილი

გიორგი კვერენჩხილაძე

ხვიჩა კიკალიშვილი

მანანა კობახიძე

თეიმურაზ ტუღუში

თამაზ ცაბუტაშვილი

ასლი დედანთან სწორია

საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მდივანი

მანანა კობახიძე

სასამართლოს წევრი
ხელმძღვანელობა